პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 103 (10497) | პარასკევი, 4 მაისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

საბჭოთა ადამიანებმა ზეიმით, დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში იდღესასწაულეს 1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე.

საბჭოთა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით ცხადყო თავისი მჭიდრო დარაზმულობა მხურვალე კომუნისტური პარტიის გარშემო, პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, თავისი ურყევი გადაწყვეტილება წარმატებით განახორციელოს სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე 1956 წლის 1 მაისს. მარცხნიდან მარჯვნივ: ამხანაგები გ. კ. ჟუკოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიკოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, დ. ტ. შეპილოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან — ბავშვები, რომლებმაც მათ ყვავილები მიართვეს.

ფოტო ა. უსტინოვისა. („პრავდა“ 2/V 1956 წ.)

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდაროობის მძლავრი დემონსტრაცია

ყველა ქვეყნის მშრომელები პირველ მაისს წლითიწლობით დღესასწაულობენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღლა აწეული დროშით, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დროშით. უკვე სამოც წელზე მეტია ამ გაზაფხულის დღეს მუშათა კლასი, ხოლო მასთან ერთად თანამედროვე საზოგადოების მთელი ის ჭკანსაღი ძალები, რომლებიც განმათავისუფლებელი ბრძოლის გზით მიდიან, სულ უფრო მზარდი აღმავლობით აწყობენ თავიანთი რიგების დათვალიერებას.

მთელი მსოფლიო მოწმეა სოციალიზმის მძლავრი ძალების განუწყვეტელი ზრდისა. უდიდესია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს—სსრ კავშირის წარმატებები, რომლებიც მიღწეულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა წყობილების არსებობის 38 წლის განმავლობაში. აი უკვე ათ წელზე მეტია ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები მიდიან სოციალიზმის შენების გზით. ექვსი წელია აშენებენ თავიანთ დიდ სახალხო სახელმწიფოს ჩინეთის მშრომელები. წლითიწლობით სულ უფრო აქტიურად იბრძვიან თავიანთი სამართლიანი საქმისათვის კაპიტალისტური მსოფლიოს ახალ მილიონობით მშრომელები. იზრდება იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა იმპერიალიზმის სამარცხვინო კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის საკითხი.

1956 წლის პირველი მაისი ღირსშესანიშნავია ბევრი მხრივ. ახლა, ისე როგორც არასოდეს წინათ, თავს იჩენს მსოფლიო სოციალისტური სისტემის, მის წარმატებათა უდიდესი გავლენა საერთაშორისო ცხოვრების მოვლენათა მთელ მსვლელობაზე. საპირველმაისო დემონსტრაციაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში გამოვიდა ახალი მილიონობით ადამიანი, რომლებიც წინათ მონაწილეობას არ იღებდნენ ამ დემონსტრაციებში. ეს ადამიანები მოიზიდა მუშათა კლასის ნათელმა მოწოდებებმა ყველა იმათი ერთიანობისაკენ, ვისაც სძულს ომი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა. მუშათა კლასის ერთიანობა, მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანობა — აი ძირითადი ლოზუნგი საპირველმაისო მასობრივი დემონსტრაციებისა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

გაცილებით მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, მიმდინარე წლის საპირველმაისო ზეიმს თავისი კვალი დაჩნია იმან, რომ ორგანულად შეხამებულია სოციალიზმის გამარჯვებისათვის ზოგი ხალხის ბრძოლის ინტერესები ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სხვა ხალხთა ბრძოლის ინტერესებთან. მთელი თავისი ძალით წარმოსდგა ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი განუწყვეტლივ მზარდი ერთიანი ნაკადი — დადგა მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდი, რომელსაც დიდი ლენინი ითვალისწინებდა, როცა აღმოსავლეთის ხალხები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში, ხდებიან საერთაშორისო ურთიერთობის ახალი მძლავრი ფაქტორი.

სოციალისტური ქვეყნების ხალხები. კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე საზოგადოებრივი ძალები ამ საპირველმაისო დღეებში მხურვალე სალამს უთვლიან აზიისა და აფრიკის ხალხებს, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ჩაგვრის ბორკილი და იბრძვიან იმპერიალისტური უღლის წინააღმდეგ. ხალხთა ეს დიდი სოლიდარობა თანამედროვე ეპოქის შესანიშნავი ნიშანია.

განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო საპირველმაისო დემონსტრაციები სოციალისტურ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებმა ცხადყვეს მზარდი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მჭიდრო

„პრავდის“ 3 მაისის მოწინავე

დარაზმულობა კომუნისტური პარტიების გარშემო, რომელთა ხელმძღვანელობით სოციალიზმის ქვეყნები სულ ახალ წარმატებებს აღწევენ.

მიმდინარე წლის გაზაფხული ექვსასმილიონიანი ჩინეთის ისტორიაში შევა როგორც სოციალისტურ გარდაქმნათა სწრაფი განვითარების დრო. ას შვიდ მილიონამდე გლეხთა კომლი უკვე შევიდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში. ჩინელი გლეხობის ნახევარი კოლექტიურად შრომობს მთლიანად სოციალისტური ტიპის კოოპერატივებში.

წარმატებით ვითარდება ჩინეთის კერძო სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა სოციალისტური გარდაქმნა. მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში 70 ათასზე მეტი კერძო სამრეწველო საწარმო, რომლებშიც დასაქმებულია მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე, შერეული საწარმო გახდა.

ჩინეთში გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. საპირველმაისო დემონსტრაციაზე გამოსული პეკინის მუშათა კლონების სათავეში მოდიოდნენ მონაწილენი წარმოების მოწინავეთა სრულიად ჩინეთის შეკრებისა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა. ჩინეთის მუშათა კლასი, მისი სახელოვანი ავანგარდი — ჩინეთის კომუნისტური პარტია — წარმატებით წყვეტენ თავიანთ ქვეყანაში სოციალისტური შენებლობის ისტორიულ ამოცანებს.

პირველი მაისის დღეს სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა ცხადყვეს თავიანთი დიდი თანამეგობრობის გაზრდილი ძალა. სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიებს თავიანთ უმაღლეს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ დაუცხრომლად განვითარონ და განამტკიცონ თავიანთი ქვეყნების ძმური ურთიერთობა. კომუნისტური პარტიები დარწმუნებული არიან, რომ რაც უფრო მჭიდროდ დარაზმული და მძლავრი იქნებიან სოციალისტური ქვეყნები, მით უფრო საიმედო იქნება მშვიდობის საქმე.

ამასთან ერთად სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ უჭერენ მხარს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. საპირველმაისო დემონსტრაციებმა ყველა სოციალისტურ ქვეყანაში — ადრიატიკიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვამდე, შორეული ჩრდილოეთიდან პამირამდე — ჩაიარა ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით. სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, ხელმძღვანელობენ რა გიგანტურ შემოქმედებითს შრომას, მტკიცედ რაზმავენ ხალხის მასებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის საბრძოლველად.

საპირველმაისო ზეიმის წინადღეს დამთავრდა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო ცხოვრებისათვის. შეიქმნა საფუძველი საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მეგობრული ურთიერთობის მოწესრიგებისათვის, გაუჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის. ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება ახალი ეტაპი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების გზაზე, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქვეყნებს შორის უკეთესი ნდობის დამყარების საქმეში.

ხოციალისტურ ქვეყნებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაკეთონ ყველაფერი, რაც საჭირო მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების უზრუნველსაყოფად. საგარეო პოლიტიკის ეს ლენინური კურსი შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და ამიტომ ისინი სულ უფრო მეტად იწონებენ და მხარს უჭერენ მას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეულ ათასობით ადამიანი გამოვიდა საპირველმაისო დემონსტრაციებზე საბრძოლო მოწოდებებით, რომლებიც გამოხატავენ მილიონთა ფიქრებსა და მისწრაფებებს. „მშვიდობისათვის, ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ!“, „საყოველთაო განიარაღებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის!“, „ჩვენ მოვითხოვთ საერთაშორისო ურთიერთგაგებას ძალის პოლიტიკის ნაცვლად!“— ეს ლოზუნგები მოჰქონდათ დემონსტრანტთა კოლონებს რუსში, რომელსაც აგრესორები აქცევენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების ბაზად.

წარმატებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში აღაფრთოვანებენ მშრომელებს კიდევ უფრო აქტიურად გამოვიდნენ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მობილიზაციის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ყრილობისა, რომელმაც დასაბუთა დიდმნიშვნელოვანი დებულება თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ. ახლა ყველასათვის უდავო ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანა ხალხთა მთელი ბრძოლა მშვიდობისათვის.

XX ყრილობის შემდეგ ძლიერდება მშრომელთა მოთხოვნები, რომ საჭიროა გადაილახოს დაქაქსულობა სხვადასხვა ძალებისა, რომლებიც მშვიდობის საქმეს იცავენ. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება მუშათა კლასის ორგანიზაციებს. თუ მუშათა კლასი გამოვა ერთიან ორგანიზებულ ძალად, თუ იგი მტკიცე ნებას გამოიჩენს, ომი არ იქნება.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, იზრდება მუშათა კლასის ერთიანობის როლი ყველა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის გადაწყვეტაში. კომუნისტები მზად არიან გააკეთონ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მოქმედების ერთიანობა სოციალისტებთან თანამედროვეობის მთავარ ძირეულ საკითხებში — საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლის საკითხებში. კომუნისტების ამ მისწრაფებას მთელი ძალით დაუჭირეს მხარი საფრანგეთის, იტალიის, დასავლეთ გერმანიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების მუშათა ფართო მასებმა საპირველმაისო დემონსტრაციებისა და მიტინგების დროს.

პირველი მაისის დღესასწაულმა ცხადყო, რომ მთელ მსოფლიოში განუწყვეტლივ იზრდებიან მძლავრი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებსაც აქვთ სერიოზული საშუალებანი, რათა არ დაუშვან იმპერიალისტების მიერ ომის გაჩაღება. სულ უფრო ხშირად კოტრდება „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ცხოვრებაზე მშვიდობისმოყვარე ძალები.

საბჭოთა ხალხს, რომელსაც თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც აქტიურად იბრძოლოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის, სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებისათვის, ეცადოს, რომ საერთაშორისო დაძაბულობის მიღწეული შენელება მტკიცე მშვიდობად გადაიქცეს.

საბჭოთა ქვეყნის ამ პოლიტიკას მხურვალედ უჭერს მხარს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით ადამიანი. მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლას შეუძლია აგვაცილოს ახალი ომი. ამისათვის საჭიროა, რომ მთელი ძალები, რომლებიც ომის წინააღმდეგ იბრძვიან, იყვნენ ფხიზელნი და მობილიზებულნი, რომ ისინი მოქმედებდნენ ერთიანი ფრონტით და არ ასუსტებდნენ თავიანთ ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

სერ ანტონი იდენის წერილი ბ-ნ ბულგანინისა და ბ-ნ ხრუშჩოვისადმი

თქვენმა კეთილი ნების მეგობრულმა წერილმა დიდი სიამოვნება მაგრძნობინა. მსურს მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით კვლავ გაცნობოთ, რაოდენ მოხარული ვართ, რომ თქვენ შესაძლოდ მიიჩნიეთ გამეკეთებინათ ეს ვიზიტი და გასცნობოდით ინგლისსა და ინგლისელ ხალხს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენმა ვიზიტმა და ჩვენმა მოლაპარაკებამ ხელი შეუწყო ეჭვის აღმოფხვრას. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება ჩვენს ორ ქვეყანას შორის მზარდი ნდობის დასაწყისი. სავსებით ვიზიარებ თქვენს სურვილს, რომ ჩვენმა მეგობრობამ და ერთობლივმა მუშაობამ ხელი შეუწყოს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილი ურთიერთობის განვითარების საერთო საქმეს.

ანტონი იდენი.

საპირველმაისო პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ნათელი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — 1 მაისი დადგა საბჭოთა ქვეყანაში. ჩვენი სამშობლოს მშრომელნი ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ მას. საბჭოთა კავშირის ხალხები, პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, უდიდესი ენთუზიაზმით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლედის გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის.

ალმებით გაფერადებულია მოსკოვი. მშვენიერია დიდი ქალაქი სადღესასწაულო სამოსელით. ასეულ ათასობით მოსკოველი გამოსულა მის განიერ ქუჩებში.

წითელი მოედანი. აქ გაიმართა ტრადიციული სამხედრო პარადი და მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

ზეიმის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იკავებენ ადგილებს გრანიტის ტრიბუნებზე კრემლის კედელთან. აქ მოდიან სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, წარჩინებული ადამიანები — მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერლები და ადმირალები. აქ არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, უცხო სახელმწიფოთა სამხედრო ატაშეები.

დღესასწაულს ესწრება მრავალი უცხოელი სტუმარი — 50-მდე დელეგაცია.

ყველას ყურადღებას იპყრობს მოედნის სადღესასწაულო გაფორმება. ქარი აფრიალებს ალმებს სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის სახურავსა და კოშკებზე. ცენტრში შენობის ფასადზეა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი მასწავლებლისა და ბელადის კარლ მარქსისა და მშრომელთა გენიალური ბელადის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტები.

გიგანტურ წითელ ქსოვილზე წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი საპირველმაისო მოწოდების სიტყვები: „მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“.

ტრიბუნებიდან მოჩანს სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი და მოკავშირე რესპუბლიკების გერბები — საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობის სიმბოლო.

საათის ისარი კრემლის მაცხოვრის კოშკზე ცილის ათ საათს უახლოვდება.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, მარშლები, ადმირალები, გენერლები. ტრიბუნებზე გრიალებს ტაში.

ათი საათია. გაისმა ბრძანება: „პარადო, სმენა!“. ჯარები წითელ და მანეჟის მოედნებზე, უახლოეს ქუჩებში გარინდდნენ. შემხვედრი მარშის მხნე, ხალისიანი მუსიკა გაისმის იმ მომენტში, როცა მაცხოვრის კოშკის თაღიდან ღია მანქანით გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი. მანქანა ჩერდება შუა მოედანზე. მკაფიოდ ისმის თვითეული სიტყვა პარადის სარდალს საბჭოთა კავშირის მარშლის კ. ს. მოსკალენკოს პატაკისა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისადმი.

თავდაცვის მინისტრი გ. კ. ჟუკოვი მარშალ კ. ს. მოსკალენკოს თანხლებით იწყებს ჯარის ნაწილების ჩამოვლას. იგი სალამს აძლევს ჯარებს, ულოცავს მათ დღესასწაულს.

გადის რამდენიმე წუთი. ჯარის კოლონებში გაისმის გლინკას დიდებული მელოდია „იდიდე!“, რომელსაც ასრულებს ათასსაკრავიანი ორკესტრი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ბრუნდება წითელ მოედანზე, ადის მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე და სიტყვით მიმართავს ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემოფიცრებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს, უცხოელ სტუმრებს.

საბჭოთა კავშირის მარშლის გ. კ. ჟუკოვის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემოფიცრებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო პატივცემულო უცხოელო სტუმრებო!

საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მხურვალედ მოგესალმებით და მოგილოცავთ პირველ მაისს — ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი ენთუზიაზმით და აღფრთოვანებით ხვდებიან წელს პირველი მაისის დღესასწაულს. განუხრელად მიდის რა დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, საბჭოთა ხალხმა ახალ წარმატებებს მიაღწია კომუნიზმის მშენებლობაში. კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზული პროგრამა.

კომუნისტური მშენებლობის დიდებული პერსპექტივები განამტკიცებენ პარტიისა და ხალხის ურყევ ერთიანობას, კიდევ უფრო ამაღლებენ საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ აქტივობას და აღფრთოვანებენ მათ, რომ თავდადებით იშრომონ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების ინტერესებისათვის.

საბჭოთა ხალხს მიაჩნია, რომ პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი გამოხატავენ კომუნისტური პარტიის კოლექტიურ სიბრძნეს, პარტიისა, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მტკიცე რწმენით მიჰყავს წინ ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ.

ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში დიდი წარმატებებით აღნიშნავენ პირველი მაისის დღეს დიდი ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელები. წლითიწლობით განუწყვეტლივ მტკიცდება სოციალიზმის ქვეყნების დიდი თანამეგობრობა, იფურჩქნება მათი ხალხების ურღვევი მეგობრობა და თანაშრომლობა.

წელს პირველი მაისის დღესასწაული მიმდინარეობს იმ ნიშნით, რომ ძლიერდება ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლა ხალხთა შორის მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენს ხალხს სურს მშვიდობით და მეგობრობით იცხოვროს ყველა ქვეყნის ხალხებთან. კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც განუხრელად განახორციელებს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

საბჭოთა მთავრობა კვლავ მტკიცედ იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებისათვის თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი საქმით აღასტურებს თავის მისწრაფებას საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარებისადმი. ამას მოწმობენ საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებანი შეიარაღების შემცირებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის შესახებ, შეიარაღებული ძალების რიცხვისა და თავდაცვის ხარჯების თანმიმდევრული შემცირება.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მტკიცე მშვიდობით დაინტერესებული სხვა სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა იმის ფართო პერსპექტივებს სახავს, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს საერთაშორისო ურთიერთობა და მოლაპარაკების გზით, სრული თანასწორუფლებიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე გადაიჭრას სადავო საკითხები.

ასეთ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას საკვლებით იწონებენ და მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს ხალხები.

მაგრამ ყოველივე ამან არ უნდა წარმოშვას ჩვენს რიგებში განცხრომა და უდარდელობა. რეაქციული იმპერიალისტური წრეები, ცდილობენ რა განახორციელონ თავიანთი ეგოისტური მიზნები, განაგრძობენ „ცივი ომის“ პოლიტიკას, საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებისა და უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების გადაჭრაში დაბრკოლებათა შექმნის პოლიტიკას.

ასეთ პირობებში ხალხებმა არ უნდა შეასუსტონ თავიანთი სიფხიზლე და სიმტკიცე მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საპირველმაისო პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

(დასასრული).

საბჭოთა ხალხი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მშვიდობის მტრების ორინებს და იღებს საჭირო ღონისძიებებს სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების ერთგულ გუშაგსა და საიმედო გარანტიას წარმოადგენენ. იარნი ეუდამ მზად არიან ღირსეულად და პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე.

გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ვაშა!

* * *

მძლავრი „ვაშა!“ გრიალებს წითელ მოედანზე. გაისმის არტილერიის სალუტი. ზეიმურად ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მაღლა აღიმართა ფანფარისტთა ოქროსარშიიანი ალისფერი ალმები. კვლავ ფანფარების მოწოდება. გაისმის ბრძანებანი. და აი უკვე დაიძრა სამხედრო პარადის მონაწილეთა პირველი კოლონა. მას მიჰყვა მეორე, მესამე...

ჯარების საზეიმო მარში დაიწყო!

ტრადიციით პარადი დაიწყეს სამხედრო აკადემიების მსმენელებმა — ოფიცრებმა, საბჭოთა არმიის მშვენებამ და სიამაყემ. მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის დროშა მოაქვს საბჭოთა კავშირის გმირს პოდპოლკოვნიკ პროხოროვს. ასისტენტები არიან საბჭოთა კავშირის გმირები პოდპოლკოვნიკები ნოვიკოვი და ცარიოვი. სულ პარადის გათვლაში არის 20-ზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი.

მოდიან ვ. ი. ლენინის სახელობის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის, ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენოსანი სამხედრო საარტილერიო საინჟინრო აკადემიის, ჯავშან-სატანკო ჯარების ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის, კუიბიშევის სახელობის სამხედრო საინჟინრო წითელდროშოვანი აკადემიის, წითელდროშოვანი სამხედრო-საჰაერო აკადემიის, პროფესორ ჟუკოვსკის სახელობის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელნი. დიდებულად მოჩანს აკადემიის დროშები, შემკობილი ორდენებითა და საორდენო ლენტებით.

ტაში ტრიბუნებზე თითქმის არ ცხრება. მკაფიო ნაბიჯით უნაკლო სწორებით მოდიან მონოლითური რიგები.

დამთავრდა საბჭოთა არმიის ოფიცერთა კორპუსის — ჩვენი შეიარაღებული ძალების მეთაურთა შემადგენლობის შესანიშნავი კადრების წარმომადგენელთა საზეიმო მარში. ოფიცრები დაუცხრომლად იმაღლებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ეუფლებიან ყველაზე თანამედროვე სამამული ტექნიკას.

ისტორიულ მუზეუმთან გამოჩნდა აბრეშუმის თეთრ-ცისფერი სამხედრო-საზღვაო ალამი. გაისმა აღფრთოვანებული შეძახილები და ტაში მეზღვაურთა პატივსაცემად. ხალხის სიყვარულით არიან გარემოსილნი ლეგენდარული ხომალდების — ჯავშნოსან „პოტიომკინის“, კრეისერების „ვარიაგის“ და „ავრორას“ მეზღვაურთა შთამომავალნი. მეზღვაურთა ნაკრები პოლკი მოჰყავს საბჭოთა კავშირის გმირს კონტრ-ადმირალ ეგიპკოს, რომელმაც რიგით მატროსად დაიწყო სამსახური.

გრანიტის ქვაფენილზე მოაბიჯებენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი სამხედრო სასწავლებლის კურსანტები. ეს სასწავლებელი შეექმნა 1917 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინის მითითებით. ლენინის სახელთან დაკავშირებულია სასწავლებლის ისტორიის ბევრი სახელოვანი ფურცელი. კრემლის კურსანტები იდგნენ № 27 საპატიო საგუშაგოზე ვლადიმერ ილიას-ძის ბინასთან. ვ. ი. ლენინი კურსანტებთან ერთად იღებდა მონაწილეობას სრულიად რუსეთის შაბათობაში კრემლში 1920 წლის 1 მაისს.

აღფრთოვანებით შეხვდა წითელი მოედანი სახელოვან მესაზღვრეებს გენერალ-მაიორ ლუკაშევის მეთაურობით. მომარჯვებული შაშხანებით მოდიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების — ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი შენაერთის ჯარისკაცები.

როგორც ყოველთვის, მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია პარადის ნორჩ მონაწილეთა — სუვოროველთა და ნახიმოველთა მარშმა.

წამით წითელი მოედანი დაცარიელდა. ისტორიული მუზეუმის მხრიდან მოისმა მოტორების გუგუნი. და აი უკვე, მთელ მოედანზე გაჭიმული, დაიძრნენ ტანის მ. ი. კალინინის სახელობის სუვოროვის ორდენოსანი წითელდროშოვანი გვარდიული მექანიზებული დივიზიის ჯავშანტრანსპორტიორები. თვითეულ ჯავშანტრანსპორტიორში არიან გვარდიელი მეომრები. მათ ხელში უკავიათ უახლესი სასროლო იარაღი. პარადის დამსწრეებმა ნახეს, თუ რა შორს წასულა წინ საბჭოთა მსროლელი ჯარების ტექნიკური აღჭურვა. დივიზიას აქვს დიდი მანევრულობა და ძლიერი ცეცხლი.

ტამანელებს მოსდევენ მედესანტეები.

პარადზე უჩვენეს საბჭოთა არმიის მრავალფეროვანი თანამედროვე შეიარაღება და ახალი ტექნიკა. პირველხარისხოვანი ტექნიკით, რომლითაც განსახიერებულია თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, აიარაღებს ხალხი არმიას, ფლოტსა და ავიაციას.

ვინც ნახა საარტილერიო ნაწილების მარში, დიდხანს დაახსომდება იგი. აქ ბევრია სიახლე, შექმნილი დიდი სამამული ომის შემდეგ. მათ შორის არის საზენიტო საარტილერიო საშუალებანი, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები. თანამედროვე რეაქტიულ დანადგარებს — „კატიუშებს“, როგორც მას ხალხმა უწოდა, — ახლა შეუძლიათ გადაწყვიტონ სულ სხვადასხვა ამოცანა.

სახმელეთო არტილერიიდან ყურადღებას იპყრობს დიდი კალიბრების სწრაფმსროელი და შორმსროელი ქვემეხები, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამანგრეველი ძალა აქვს. მაყურებლებმა ნახეს აგრეთვე უდიდესი სიმძლავრის ქვემეხები — მთელი საარტილერიო დანადგარები.

ყველაფერი, რაც პარადზე უჩვენეს, მოწმობს, რომ ახლანდელი საბჭოთა არტილერია მნიშვნელოვნად სჯარბობს იმას, რაც დიდი სამამულო ომის დროს გვქონდა.

ათასობით მაყურებელი ტკბებოდა ავიაგამანადგურებლების ფრენით. მათ გადაიქროლეს ზებგერითი სისწრაფით. მათს სწრაფ მოძრაობას წარმართავდნენ პოლკოვნიკები ბაბაევი, სტეპანოვი, კუდრიავცევი, ონოპრიენკო. უყურებდნენ საბჭოთა ადამიანები ვერცხლისფერ მანქანებს, და სიამაყით ფიქრობდნენ ჩვენს სამამულო ავიაციაზე, საბჭოთა ხალხის სახელოვან ფრთოსან შვილებზე, ნიჭიერ კონსტრუქტორებზე, მუშებზე, რომლებმაც ასეთი საუცხოო მანქანები ააგეს.

პირველი მაისის პარადმა წითელ მოედანზე ცხადყო სახელოვანი გამარჯვებებით მოსილი მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაზრდილი ტექნიკური აღჭურვილობა, შესანიშნავი საბრძოლო ოსტატობა ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა, რომლებიც დგანან მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს უშიშროების საგუშაგოზე.

* * *

პარადი დამთავრდა. იწყება მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაცია.

დემონსტრანტთა კოლონების წინ არის მედროშეთა ჯგუფი. მაისის ქარი აფრიალებს ორდენოსანი დედაქალაქის წითელ ხავერდის დროშას. მის უკან მოდის პიონერთა, ნორჩ მოსკოველთა კოლონა. ტრიბუნებს რომ გაუსწორდნენ, ყველაზე პატარა მოსწავლეთა ჯგუფმა აირბინა მავზოლეუმის საფეხურებზე. ბავშვებმა ყვავილები მიართვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

სულ უფრო ხმამაღლა გაისმის სიმღერა და მუსიკა.

მოედანზე გაჩნდა ყვავილების ხალიჩა. იგი მოაქვთ ფიზკულტურელებს. მზის სხივებში ვერცხლისფრად ელავს სიტყვები:

— 1 მაისი —

მაღლა აღუმართავთ სსრ კავშირის უზარმაზარი გერბი, ჩვენი სამშობლოს წითელი დროშა, მოკავშირე რესპუბლიკათა დროშებით გარშემორტყმული. მოედნის კიდით კიდემდე გადაჭიმულ ქსოვილებზე წარწერილია უდიდესი აზრითა და მნიშვნელობით აღსავსე სიტყვები:

— დიდება საბჭოთა ხალხს!

მისი, საბჭოთა ხალხის, მეოხებით, რომელიც ახორციელებს დიდი ლენინის იდეებს, გახდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო ელექტრობის, ლითონის, მაღალი მრავალეროვანი კულტურისა და ინტერნაციონალური ურთიერთობის ქვეყანა. შორს მოჩანს დროშა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის პორტრეტით, მის გვერდით დროშებით გარშემორტყმულია მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი.

მოდის სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდობა — ქალიშვილები და ჭაბუკები კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილენი.

ფიზკულტურელები ასრულებენ სხვადასხვა ტანვარჯიშს, რითაც საყოველთაო აღტაცებას იწვევენ.

ფიზკულტურელთა პარადს ამთავრებენ დინამოელები. ასობით ახალგაზრდის ძლიერი ხმა გაისმის როგორც ერთი. და შორს ისმის სიტყვები:

მშვიდობა მსოფლიოს!

დიდება ხალხს!

დიდება პარტიას!

წითელი მოედნის კიდით კიდემდე გაისმის მრავალხმიანი სასიხარულო „ვაშა!“

დროშებით, ორკესტრების მუსიკის ხმაზე მოედანზე შემოდიან კიროვის, მოსკვორეცკის, ლენინის, კრასნაია პრესნიას, საბჭოთა, სვერდლოვის, ძერჟინსკის, შჩერბაკოვის, ბაუმანის, კუიბიშევის, კრასნოგვარდეისკის, მოლოტოვის რაიონების დემონსტრანტთა კოლონები.

მოსკოველმა მუშებმა ახალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით უპასუხეს ჩვენი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყველაფერი, რაც წარწერილია ათასობით ტრანსპარანტზე, პანოსა და პლაკატზე, შეიძლება გამოიხატოს ერთი აზრით: მეექვსე ხუთწლედი მოქმედებაში!

კოლონებს მოაქვთ ნ. ა. ბულგანინის, კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. კირიჩენკოს, გ. მ. მალენკოვის, ა. ი. მიქოიანის, ვ. მ. მოლოტოვის, მ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბუროვის, მ. ა. სუსლოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის პორტრეტები.

ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის კოლონა. ამ საწარმოს მუშები, რომელიც მძლავრ ელექტრომოტორებს უშვებს, სიამაყით და განსაკუთრებული გულთბილობით უწოდებენ ერთმანეთს ილიჩელებს.

წმიდად ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, ისინი თავიანთ შრომას აქსოვენ ნამდვილ შემოქმედებითს შთაგონებას. ხუთწლედში ერთიორად გაიზარდა საწარმოში შრომის ნაყოფიერება. მაღლა მოაქვთ ტრანსპარანტი, რომელზეც გამოხატულია მარტენის კონტურები და რელიეფური ციფრი — 68,3 მილიონი ტონა ფოლადი: ამდენი ფოლადი უნდა იქნას გამოშვებული ჩვენს ქვეყანაში მეექვსე ხუთწლედის უკანასკნელ წელს.

ტრიბუნებიდან მიესალმებიან მოედანზე მომავალ მოსკოვის საწარმოთა შესანიშნავ ნოვატორებს: ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ ხარატებს ნ. მიხაილოვს, კ. ივანოვს, ამ საწარმოს უფროს ოსტატს ი. ბელოვს, ფიეტრებს ზინაიდა და მარიამ ტიტოვებს, „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ შთამომავლობითი მუშების მოისეევების ერთსულოვან ოჯახს. ამ ოჯახის რვა წევრი, რომელიც თაობიდან თაობაში მუშაობს ტრიოხგორკაში, ახლა შრომობს ამ საწარმოში. დემონსტრანტთა რიგებში არიან მეკალიბრეები ა. სენინი, ნ. გუშჩინი, ი. მილოვანოვი, ვ. პუსტავალოვი, რომლებსაც ახლა მაღალი სიზუსტის ოსტატებს უწოდებენ. ესენი არიან წარმომადგენლები დიდი კოლექტივისა, სადაც ათობით მუშამ უკვე შეასრულა მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებები.

ტექნიკური პროგრესი ხორციელდება მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ერთიანობით. ტრიბუნებს ჩაუარეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივებმა. საბჭოთა მეცნიერების შრომის მეოხებით სულ უფრო ფართოდ ვითარდება სსრ კავშირში მუშაობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის. ერთ-ერთ პლაკატზე გამოირჩევა წარწერა: მეექვსე ხუთწლედში აშენდება 2-2,5 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ატომის ელექტროსადგურები. საბჭოთა ხალხი აცხადებს, რომ ადამიანის გენიის უდიდეს მიღწევას — ატომის ენერგიას იგი გამოიყენებს ადამიანის საკეთილდღეოდ, მშვიდობიანი შემოქმედებისათვის.

ფრიალებს ყველა ფერის მსუბუქი აბრეშუმის დროშები. ყვავილებისაგან გაკეთებული თანავარსკვლავდების ცენტრში მრავალჯერ მეორდება:

— გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღეს — ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

ალისფერ დროშებზე წარწერილია სიტყვები ძმური სალამისა ყველა ხალხისადმი, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

საბჭოთა ადამიანები 1 მაისის დღეს მხურვალედ მიესალმებიან დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით აზორციელებს სოციალისტურ გარდაქმნებს თავის ქვეყანაში. დემონსტრანტებს მოაქვთ მაო ძე-დუნის, ჯუ დეს, ლიუ შაო-ცის, ჯოუ ენ-ლაის პორტრეტები.

გაისმის შეძახილები:

— გაუმარჯოს საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევ მეგობრობას!

მოცურავენ მსუბუქი ნაირფეროვანი პირამიდები, რომლებიც გაკეთებულია კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ ქსოვილებისაგან. ამ კომბინატის კოლექტივი წინ მოუძღვის კრასნაია პრესნიას რაიონის კოლონებს. მილიონობით მეტრი ქსოვილი გამოუშვეს ამ კომბინატის მუშებმა წლის დამდეგიდან.

წლევანდელი პირველი მაისის დღესასწაულის საპატიო მონაწილენი არიან ორი რევოლუციის ვეტერანები. მათ ნახავთ სტუმრებს შორის ტრიბუნებზე, სადღესასწაულო კოლონების რიგებში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მრავალი სტუმარი ტრიბუნებიდან მხურვალედ მიესალმებიან მოსკოვის ქარხნების სახელოვან წარმომადგენლებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და მასწავლებლებს, კომკავშირელებსა და პიონერებს. დემონსტრანტები მისალმების ნიშნად მაღლა სწევენ ყვავილების თაიგულებს. რადიორეპროდუქტორებიდან მოისმის გულის სიღრმიდან აღმომხდარი სიტყვები:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

დემონსტრანტები მხურვალედ იწონებენ ინგლისში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას, რაც დიდი მოვლენაა სსრ კავშირისა და ინგლისის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობის განვითარებაში.

წითელ ტილოებზე წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. სსრ კავშირის ხალხები ძმურ სალამს უთვლიან სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს. დემონსტრანტები მხურვალედ მიესალმებიან იუგოსლავიის ხალხებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, დიდ ინდოელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს პროგრესისათვის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

დემონსტრანტთა რიგებში მოაქვთ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთავრობების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

წითელ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა ახალი კოლონები. კვლავ დროშების, ყვავილების, ფერად-ფერადი ალმების ზღვაა. სახეები გაბრწყინებულია მხიარულებით, ყველგან გაისმის ლაპარაკი, სიცილი, სიმღერა. გაზაფხულის ქარი აფრიალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წითელ დროშას — საპატიო ჯილდოს მოსკოვის საავტომობილო ქარხნის კოლექტივისა, რომელიც არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული შეჯიბრებაში.

ტრიბუნებიდან გულთბილად მიესალმებიან კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმის, საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზატორის, კომუნისტური პარტიის აქტიური თანაშემწისა და რეზერვის — საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წარმომადგენლებს.

ჩვენი ახალგაზრდობა აღზრდილია ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. მოსკოვის უნივერსიტეტის [illegible] ლაპარაკი მრავალ ენაზე. საბჭოთა ქალიშვილებთან და ჭაბუკებთან ერთად მეცნიერებას ეუფლება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობა.

საბჭოთა ადამიანები იბრძვიან იმისათვის, რომ მტკიცდებოდეს მეგობრობა და თანამშრომლობა ყველა ქვეყანასთან.

— მშვიდობა მსოფლიოს! ეს სიტყვები კვლავ და კვლავ მოჩანს დედაქალაქის საწარმოთა — „სერპ და მოლოტის“, „დინამოს“, ელექტროქარხნის შრომითი წარმატებების პატაკებში.

აქ, ისევე როგორც დემონსტრანტთა ყველა კოლონაში, არის ვ. ი. ლენინის პორტრეტები. მიდის რა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, პარტია სულ უფრო მეტად განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს.

მოდიან შჩერბაკოვის რაიონის დემონსტრანტთა კოლონები — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის, სხვადასხვა სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები. უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც ყრილობამ დაუსახა სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ასახულია ასობით პლაკატში, სადღესასწაულო მსვლელობას რომ ამშვენებს. ბევრ დემონსტრანტს მოაქვს ოქროს ხორბლის თავთავები. აი წითელ ფონზეა ციფრი — 11 მილიარდი ფუთი მარცვალი! მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია.

მაღლა ფრიალებს ტილო ამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით, რომელიც მიმართულია ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი:

— ომი შეიძლება ავიცილოთ და უნდა ავიცილოთ თავიდან! უფრო მაღლა ავწიოთ ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლის დროშა!

საბჭოთა ადამიანები სიტყვითა და საქმით განამტკიცებენ მოწოდებას მშვიდობის დასაცავად.

პირველი მაისის დღესასწაულის დღეს საბჭოთა ადამიანები გამარჯვებას უსურვებენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისათვის.

მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე ოთხ საათზე მეტს გაგრძელდა. მან ცხადყო, თუ რა დიდი და აუოაცხელია ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები, მისი რწმენა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისადმი, მისი მჭიდრო დაკავშირებულობა კომუნისტური პარტიისა და ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

(საკდესი).

ხალხთა ძმურ ოჯახში

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია

საზეიმო და მშვენიერი სანახავია საქართველოს დედაქალაქი მაისის ამ დღეს. სახელმწიფო და საზოგადოებრივი შენობები, საცხოვრებელი სახლები მორთულია ალმებით, ტრანსპარანტებით, რომლებსაც აწერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპირველმაისო მოწოდებანი, ქუჩების გაყოლებით გამოფენილია წითელი ქსოვილები.

დილაადრიანვე ქუჩებში და მოედნებზე გაისმის სიმღერის, მუსიკის ჰანგები. საპირველმაისო დღესასწაული დაიწყო სამხედრო პარადით თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე — რუსთაველის პროსპექტზე. აქ და ახლომახლო ქუჩებში ჩამწკრივდნენ ჯარები. პროსპექტი განსაკუთრებით ლამაზად არის გაფორმებული. საქართველოს სსრ მთავრობის სასახლეზე ფრიალებს წითელი დროშა. შენობის ფრონტონზეა ტრანსპარანტი საპირველმაისო მოწოდებით „გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!“.

მთავრობის სასახლის წინ ტრიბუნებზე არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრები, 1905 წლის რევოლუციის მონაწილეები, გენერლები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, მ. დ. ჩუბინიძე, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, ვ. გ. ქერქაძე, გ. ი. ჩოგოვაძე.

დილის 10 საათია. ჯარები გასწორდნენ ბრძანებაზე „სმენა“. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის კარიდან ღია ავტომანქანით გამოდის ოლქის სარდალი არმიის გენერალი ი. ი. ფედიუნინსკი. ჟღერს შემხვედრი მარში. მიიღო რა პარადის სარდლის გენერალ-მაიორ ვ. ფ. გლადკოვის პატაკი, მან ჩამოუარა თბილისის გარნიზონის ჩამწკრივებულ ჯარებს, მიესალმა მათ და მიულოცა მშრომელთა საერთაშორისო დღე — 1 მაისი. პასუხად გაისმა ხმამაღალი „ვაშა“.

ი. ი. ფედიუნინსკიმ დაამთავრა ნაწილების ჩამოვლა და ავიდა ცენტრალურ ტრიბუნაზე. მან სიტყვით მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს და საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითა და დავალებით მიესალმა და მიულოცა მათ პირველი მაისის დღე.

ამხ. ფედიუნინსკი ლაპარაკობს იმაზე, რომ საბჭოთა ადამიანები საპირველმაისო დღესასწაულს ხვდებიან უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. მათთან ერთად 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს ზეიმით აღნიშნავს სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ასეულ მილიონობით მშრომელი.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც კომუნიზმს აშენებენ, თავდადებით იბრძვიან მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. საბჭოთა სახელმწიფოსთან მჭიდრო ძმური ერთობით მშვიდობისათვის იბრძვიან ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები, რომლებიც მტკიცედ მიდიან სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

ამხ. ფედიუნინსკი ლაპარაკობს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიისა, რომელიც დაუცხრომლად ახორციელებს ლენინის ანდერძს. საბჭოთა ხალხმა ვადამდე შეასრულა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. იგი გამსჭვალულია მისწრაფებით თავდადებით მოახმაროს თავისი ძალები და ენერგია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეს. კომუნისტური პარტიის დიად წინასწარმეტყველებათა შესრულებაში თავისი წვლილი შეაქვს ქართველ ხალხსაც.

სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დახმარებით, თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავებას მიაღწიეს.

საბჭოთა ხალხი თავის ისტორიულ წარმატებებს უმადლის კომუნისტურ პარტიასა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ კოლექტიურ ხელმძღვანელობას. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას არა აქვთ სხვა საზრუნავი, გარდა იმისა, რომ იზრუნონ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის. იბრძვის რა მშვიდობისათვის, საბჭოთა ხალხს არ შეუძლია შეასუსტოს თავისი ყურადღება სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმისადმი. თავისი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების, მისი სახელმწიფო ინტერესების საგუშაგოზე საიმედოდ დგანან საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები.

— ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები, — ამბობს ამხ. ფედიუნინსკი, — პირველ მაისს ხვდებიან ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. ისინი, ისევე როგორც მთელი ჩვენი მამაცი საბჭოთა არმია, კვლავაც ფხიზლად დაიცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, ბეჯითად სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო მომზადებას.

როცა სარდალი გამარჯვებას უსურვებს დიდ საბჭოთა ხალხსა და მის შეიარაღებულ ძალებს, კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, გაისმის მძლავრი „ვაშა“. საღღესასწაულო საარტილერიო სალუტის ხალვებს ერთვის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების ჰანგები.

მებუკეები იუწყებიან სამხედრო პარადის დაწყებას. გაისმის მარშის მუსიკა, რომელსაც ასრულებს ნაკრები საასულე ორკესტრი. რუსთაველის პროსპექტზე გამოდის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამმართველოს ოფიცერთა ნაკრები პოლკი. მათ ყველას ახალი საპარადო ფორმა აცვიათ. მათი მშვენიერი გაწვრთნა, მწყობრი ნაბიჯი საყოველთაო მოწონებას იწვევს.

უნაკლო მწყობრით მოდიან თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი სამთო-საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები. მოდიან გვარდიის ნაწილები. მათ მოჰყვებიან მეკავშირენი, მესაზღვრენი.

მოსფალტებულ ქუჩაზე გაქროლეს მოტოციკლისტებმა. აღტაცებას იწვევს მოტორიზებული ქვეითი ჯარი, არტილერია. მანქანებზე გაიარეს ფიზიზელმა „ცის გუშაგებმა“ — მეზენიტეებმა. მათ ცვლიან გვარდიის ნაღმსატყორცნები — განთქმული „კატიუშები“.

მშრომელები გულთბილად მიესალმებიან სახელოვანი საბჭოთა არმიის მეომრებს. რომლებმაც ცხადყვეს თავიანთი მზარდი საბრძოლო წვრთნა.

...მოკლე ხანს სიწყნარე ჩაჩოვარდა. რუსთაველის პროსპექტზე შემოდის სადღესასწაულო დემონსტრაციის ფართო ნაკადი. დემონსტრანტთა კოლონებშია მარქსის, ენგელსის, მშრომელთა გენიალური ბელადის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის — ლენინის, კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის — სტალინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების პორტრეტები.

მოსწავლეებს მოაქვთ ლამაზი პანოები, პლაკატები, რომლებსაც აწერია საამური. ბედნიერი ბავშვობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი მხურვალე სიყვარულისა და გულითადი მადლობის სიტყვები.

ტრიბუნებს ჩაუარეს ლენინის რაიონის მშრომელთა მძლავრმა კოლონებმა. წინ მოაქვთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ვეებერთელა პორტრეტი. კოლონების გაფორმება იძლევა თვალნათლივ წარმოდგენას, თუ როგორ იბრძვიან საქართველოს დედაქალაქის ამ უდიდესი სამრეწველო რაიონის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რა წარმატებანი მოიპოვეს მათ საპირველმაისო შეჯიბრებაში. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა დღესასწაულის წინ დაამთავრა ახალი პროგ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისის დღესასწაული თბილისში. სურათზე: ტრიბუნა რუსთაველის პროსპექტზე. საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები მიესალმებიან საპირველმაისო დემონსტრაციაზე გამოსულ ქალაქის მშრომელებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

ხალხთა ძმურ ოჯახში

(დასასრული)

რესული მოდელის პირველი სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის აწყობა. თბილისელი ჩარხმშენებლები მტკიცედ იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის. მათ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს უნდა აითვისონ თანამედროვე ლითონსაჭრელი ჩარხების 28 მოდელის გამოშვება.

პროსპექტზე შემოდიან სტალინის რაიონის მშრომელები. მათ შორის არიან კამვოლ-მაუდის კომბინატის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას საპირველმაისო შეჯიბრების დღეებში გეგმის გადაჭარბებით მისცეს 20 ათას მეტრზე მეტი შალის ქსოვილები, მოდიან სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და სხვა საწარმოთა მუშაკები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი. მათ მაღლა უჭირავთ პლაკატები, რომლებიც მოუწოდებენ გაჩაღონ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, იბრძოლონ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

დემონსტრანტთა კოლონაში არიან საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. ინსტიტუტმა თავისი არსებობის წლებში მოამზადა 13 ათასზე მეტი სპეციალისტი, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებაში.

მოლოტოვის რაიონის მშრომელთა კოლონის წინ მოდიოდნენ სსრ კავშირის ხალხთა ტანსაცმლით გამოწყობილი მოსწავლეები, მათ მოჰქონდათ უზარმაზარი გლობუსი, რომელზეც წარწერილი იყო მილიონობით ადამიანისათვის მახლობელი სიტყვები — „მშვიდობა მსოფლიოს“. ბევრ ბავშვს ხელში ეჭირა ყვავილთა თაიგულები.

მკაფიო ციფრები პლაკატებზე, რომლებიც ამ რაიონის მშრომელებს მოჰქონდათ, გვიამბობდნენ, თუ საბჭოთა ხელისუფლების წლებში რა ძირეულად იცვალა სახე საქართველომ, რომელიც დიდად განვითარებული ინდუსტრიის, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის რესპუბლიკა გახდა.

მოდიან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, გამომცემლობათა მუშაკები. ყურადღებას იქცევს დიაგრამა: 1955 წელს მარტო სახელგამმა გამოსცა 5.973 ათასი ცალი წიგნი, 1960 წელს გამოსცემს 7.375 ათას ცალს. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის.

დაუსრულებელ ნაკადად მოდიან კოლონები... დემონსტრაციის მონაწილენი შეწყობილად იმეორებენ მოწოდებებს:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

— ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

—საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებო! დაუცხრომლად განამტკიცეთ სოციალიზმის ქვეყნების დიადი თანამეგობრობა, განავითარეთ და განამტკიცეთ ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის ძმური მეგობრობა!

ამ დიად თანამეგობრობაში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს მშრომელებსაც. რესპუბლიკის მრეწველობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს აწვდის ჩარხებს, მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებს.

კალინინის რაიონის მშრომელთა კოლონებსაც ბავშვები მოუძღოდნენ წინ. ისინი მორთული იყვნენ ყვავილთა გირლანდებით, ფერადი ლენტებით. პროსპექტზე ირხეოდნენ ბურთები, რომლებსაც ეწერა „პირველი მაისი“. დამსწრენი გულთბილად ხვდებიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის გამოჩენას. გაისმის მისასალმებელი შეძახილები საბჭოთა მეცნიერების პატივსაცემად, რომელნიც თავიანთ ძალებს ახმარენ კომუნისტური მშენებლობის საქმეს. მეცნიერებთან ერთად მოდიან მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მსახიობები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი შრომით ამდიდრებენ საბჭოთა ხალხის კულტურის საგანძურს.

პროსპექტზე არიან ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა კოლონები. მათს რიგებში მოდიან სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები. თბილისში მუშაობს 12 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც სახალხო მეურნეობისათვის ამზადებენ სპეციალისტთა მრავალრიცხოვან კადრებს.

ტაშით ხვდებიან თბილისის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებს. ამ სასწავლებლის სპორტსმენებმა მოძრავ მოტოციკლებზე დიდი ოსტატობით შეასრულეს რთული ტანვარჯიში.

რამდენიმე საათს გრძელდება დემონსტრაცია... განუწყვეტლივ გაისმის სიმღერები, გუგუნებენ ორკესტრები. პროსპექტზე მოდიან კიროვის რაიონის, 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელები. მოდიან სხვადასხვა პროფესიის, ეროვნების ადამიანები — ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები. კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, ხალხთა ურღვევი მეგობრობის პრინციპამ ერთიან ძმურ ოჯახად დარაზმა ჩვენი სამშობლოს მრავალი ეროვნება.

თბილისელთა სადღესასწაულო კოლონებით, პლაკატებით, ტრანსპარანტებით, შრომითი პატაკებით, დემონსტრაციის მთელი გაფორმებით იგრძნობა საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის პათოსი, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ისინი ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც სავსებით შეეფერება ჩვენი ქვეყნის ხალხთა მისწრაფებებს. საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად გამოხატავენ დიდ კმაყოფილებას ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში ნოგზაურობის შედეგების, ინგლისსაბჭოთა კავშირის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების გამო.

პირველი მაისის დღესასწაულის დღეს საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა მკაფიოდ ცხადყვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, მზადყოფნა თავდადებით იშრომონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მშვიდობისათვის.

საღამოს თბილისის ქუჩებში აინთო სადღესასწაულო შუქი, დიდებულად აგრიალდა სალუტი. ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე, მწვანე პარკებში სასეირნოდ გამოვიდა ათასობით ადამიანი.

(საქდესი).

პირველი მაისის დღესასწაული რესპუბლიკის ქალაქებში

სოხუმი

აფხაზეთის მშრომელებმა ახალი წარმატებებით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — პირველი მაისი.

სოხუმის მრავალმა საწარმომ, საამქრომ და მუშამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება.

სოხუმი საზეიმოდ არის მორთული. შენობების ფასადებზეა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია.

ტრიბუნის წინ პირველად ქალაქის საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებმა გაიარეს. მოედანზე მწყობრი ნაბიჯებით ჩაიარა ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა მრავალრიცხოვანმა კოლონამ.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს წინ მიუძღოდა სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც ოთხი თვის გეგმა ვადაზე ადრე გაანაღდა.

სასახელო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს სოხუმის ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებიც. ი. ბ. სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკამ ოთხი თვის გეგმის გადამეტებით 5 მილიონამდე ცალი პაპიროსი გამოუშვა.

რკინიგზელთა კოლონას წინ მიუძღოდნენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სოხუმის სალოკომოტივო დეპოს და კავშირგაბმულობის დისტანციის კოლექტივები. მათ შემდეგ ჩაიარეს ს. ორჯონიკიძის სახელობის სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, საზღვაო ნავსადგურისა და კავშირგაბმულობის საოლქო განყოფილების კოლექტივებმა, სამინისტროთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებმა.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ სოხუმის ბაღებში, სკვერებში და სტალინის სახელობის მთაზე მასობრივი სეირნობა გაიმართა.

პირველი მაისის დღესასწაული ეშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი აფხაზეთის მშრომელთა უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის ახალ მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. **(საკ. კორ.).**

გათუმი

ბათუმის მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს შრომისა და გაზაფხულის დღესასწაული — პირველი მაისი. შენობების ფასადებს, ქუჩებსა და მოედნებს ამშვენებდნენ მწვანე გირლანდებში ჩასმული პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

განსაკუთრებით საზეიმოდ გამოიყურებოდა ბათუმის მშრომელთა დემონსტრაციის ტრადიციული ადგილი — რევოლუციის მოედანი, საითკენაც ადრე დილიდანვე დაიძრნენ მშრომელთა მრავალრიცხოვანი კოლონები.

დილის 11 საათია. დიდი ლენინის ძეგლის წინ აომართულ ტრიბუნაზე ადიან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, წარჩინებული მუშები, ძველი რეოლუციონერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

დემონსტრაცია დაიწყო ბათუმის მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კოლონების გამოსვლით. მოსწავლეებს ხელთ ეჭირათ ცოცხალი ყვავილების თაიგულები, უმღეროდნენ მშვიდობას, ხალხთა შორის მეგობრობას, ძლევამოსილ კომუნისტურ მშენებლობას.

მოედანზე გამოჩნდა ბათუმელ მენავთობეთა კოლონა. ისინი ვალმოხდილნი გამოცხადდნენ მშრომელთა დემონსტრაციაზე, პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 5,3 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირეს 2,2 პროცენტით და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 2 მილიონ 900 ათასი მანეთი მოგება.

ტრიბუნას მწყობრად ჩაუარეს სავაჭრო ნავსადგურის, სალოკომოტივო და სავაგონო დეპოების, სამგზავრო და საბარგო სადგურების, ფანერის ქარხნის, კოფეინის ქარხნის, ციტრუსკომბინატის კოლექტივებმა, გემშემკეთებლებმა, მანქანათმშენებლებმა, მომთუთიებლებმა, მეფეხსაცმლეებმა, მეტყავეებმა, მშენებლებმა, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა.

დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ 16 მოკავშირე რესპუბლიკის გერბები და დროშები, ბევრ კოლონას წინ მოუძღოდნენ მოძმე რესპუბლიკათა ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილი ბავშვები.

დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უსაზღვროდ ერთგული ქალაქ ბათუმის მშრომელები მზად არიან წარმატებით შეასრულონ პარტიის ყველა დავალება, პრაქტიკულად განახორციელონ პარტიის მეოცე ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

1 და 2 მაისს ქალაქ ბათუმისა და მის მახლობელ საკურორტო დაწესებულებათა პარკებსა და ხეივნებში გაიმართა სადღესასწაულო სეირნობანი, ხოლო სტადიონებსა და სასპორტო მოედნებზე მოეწყო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეში. **(საკ. კორ.).**

ქუთაისი

...გაზაფხულის თბილი ნიავი ნელა არხევს წითელ ქსოვილებს, რომლებზეც წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი — თავდადებით ვიშრომოთ სამშობლოს სასახელოდ, კომუნიზმის გაბარჯვებისათვის, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

სტალინის სახელობის მოედანზე, სადაც გაიმართა ქუთაისის მშრომელთა საპირველმაისო ზეიმი, პირველნი შემოვიდნენ ქალაქის სპორტსმენები. მათ ტრიბუნის წინ ოსტატურად შეასრულეს მხატვრული ვარჯიში და მაყურებელთა მქუხარე ტაში დაიმსახურეს.

საშუალო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 30-ათასიან კოლონას წინ მოუძღოდა პირველი საშუალო სკოლა. ახალგაზრდობას მოჰქონდა პლაკატი „დავეუფლოთ მეცნიერებასა და ტექნიკას“. ლამაზად გაფორმებულ ავტომანქანაზე წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები გვიჩვენებენ პოლიტექნიკურ სწავლებაში მოპოვებულ წარმატებებს.

საწარმოთა კოლექტივების დემონსტრაცია დაიწყო ავტომობილმშენებლების გამოსვლით. მათ გამოიყვანეს ქუთაისის მარკის მძლავრი თვითსაცლელები, ცემენტსაზიდავები და ავტომატარებელი ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადასაზიდად.

შემდეგ მოედანზე ერთმანეთს ცვლიან მანქანათმშენებლები და ლიტოპონის ქარხნის მუშები, მეკონსერვეები და მეკონდიტრეები, მკერავები და მეფეხსაცმლეეები, აბრეშუმმქსოველები და მემაუდეები, რკინიგზელები და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკები, რომლებმაც სასახელოდ გაანაღდეს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 30 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 4 მილიონი ქილა კონსერვი, 400 ათასი მანეთის ფეხსაცმელი, 250 ათასი მანეთის სამთო მანქანები და სხვ. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი შეინარჩუნეს აბრეშუმისა და ტყავფეხსაცმლის კომბინატებმა, მესამე ადგილი — მანქანათმშენებელმა ქარხანამ, ხოლო რკინიგზის ქუთაისის სადგური ამიერკავკასიის რკინიგზაზე პირველ ადგილზე გამოვიდა.

1-2 მაისს ქალაქში გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა. **(საკ. კორ.).**

სტალინირი

პირველ მაისს გაზაფხულის მზე უხვად აფრქვევდა ცხოველმყოფელ სხივებს ქალაქ სტალინირის საზეიმოდ მორთულ ქუჩებსა და მოედნებს, რომლებიც დილაადრიან გაივსო მუშებით, მოსამსახურეებით, ინჟინერ-ტექნიკოსებითა და მოსწავლე ახალგაზრდობით.

დილის 11 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნისაკენ მოემართებიან ქალაქის სკოლების მოსწავლეები, პიონერები. მწყობრი, გამართული ნაბიჯით მოდიან სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ბავშვები. მათ თან მოაქვთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, აკადემიური წარმატების ამსახველი მაჩვენებლები.

ამაყად, მხიარულად მოდიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — სტალინირის მექანიკური ქარხნის მუშები. ოთხი თვის დავალება მათ ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს. ტრანსპარანტებზე აღბეჭდილია ქარხნის ცალკეული საამქროებისა და მუშების მაღალი შრომითი მაჩვენებლები.

ტრიბუნასთან ისმის სადღესასწაულო მისალმებანი, „ვაშას“ მქუხარე შეძახილები.

ტრიბუნას უახლოვდებიან სატყეო კომბინატის, ლუდის, აგურისა და კრამიტის ქარხნების, ქალაქის სამრეწველო კომბინატის, არტელ „წითელი ოქტომბრისა“ და სხვა საწარმოთა მუშები, ქალაქის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეები. ყველას სახეზე უკრთის სიხარულისა და ბედნიერების ღიმილი.

საპირველმაისო ზეიმზე გამოვიდნენ ყველაზე პატარებიც — ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები. ისინი საამურად მღერიან და წკრიალა ხმით იძახიან „ვაშას“.

სტალინირში დიდხანს არ შეწყვეტილა საზეიმო მარშისა და სიმღერების ხმები. საოლქო ცენტრის მშრომელებმა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მშრომელებთან ერთად მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში იზეიმეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — პირველი მაისი. **(საკ. კორ.).**

რუსთავი

მეტალურგთა ქალაქის მშრომელებმა ახალი წარმატებები აღნიშნეს 1 მაისის დღესასწაული. ამას მოწმობდა ციფრები მრავალ მაკეტსა და ტრანსპარანტზე, რომლებიც მეტალურგებმა, ახალგაზრდა ქიმიკოსებმა, მშენებლებმა და მემონტაჟეებმა სიამაყით გამოატარეს ტრიბუნის წინ.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მრავალრიცხოვან კოლონას წინ მიუძღოდნენ ცეცხლთან და ლითონთან ბრძოლაში გამარჯვებული მარტენისა და საბრძმედე საამქროს კოლექტივები, რომლებიც პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ. მთლიანად ქარხანამ საწარმოო გეგმა კვლავ სრული მეტალურგიული ციკლის მიხედვით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით დიდძალი თუჯი, ფოლადი და ნაგლინი მისცა.

ქალაქის ინდუსტრიული ძლიერების გაუხრელ ზრდას გამოხატავდა ის, რომ წელს პირველად გამოვიდა დემონსტრაციაზე რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივი. ამ ქარხანამ, რომელიც ახლახან ამუშავდა, თავისი პირველი პროდუქცია დღესასწაულის წინა დღეებში გამოუშვა. აზოტოვანი სასუქების ქარხნის ძირითადი კორპუსის ლამაზად გაფორმებულ მაკეტთან ერთად ქიმიკოსებმა გამოატარეს მინერალური სასუქების ნიმუშები. ერთ-ერთი მათგანის — ნატრიუმის გვარჯილის წარმოება მათ ახლახან აითვისეს.

დემონსტრაციამ, რომელშიც რამდენიმე ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, ჩაიარა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, მშვიდობისათვის შეუდრეკელი ბრძოლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ხალხის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის მზადყოფნის ნიშნით. **(საკ. კორ.).**

ქ. თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე 1956 წლის 1 მაისს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამა წლის 25 აპრილს სსრ კავშირის საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შემდეგი შინაარსის ნოტა:

„სახელმწიფო მდივანი უდასტურებს თავის პატივისცემას მის აღმატებულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ელჩს და პატივი აქვს დაიმოწმოს გარემოებანი, რომლებიც დაკავშირებულია შეერთებული შტატებიდან საბჭოთა კავშირში 1956 წლის 7 აპრილს საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს“ ხუთი ყოფილი მეზღვაურის გამგზავრებასთან.

გულმოდგინე გამოკვლევის შემდეგ გამოირკვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფი საბჭოთა დელეგაციის წევრებმა თავიანთ თავზე აიღეს ისეთი რუშუნებანი და დაიწყეს ისეთი მოქმედება მეზღვაურთა მიმართ, რომლებიც არ შეესაბამება საბჭოთა დელეგაციის სტატუსს. ამ მხრივ ალექსანდრე კ. გურიანოვისა და ნიკოლოზ ტურკინის ქცევა განსაკუთრებით საძრახისი იყო. თვით ელჩი არკადი სობოლევი, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონში იმყოფება საბჭოთა საელჩოს აკრედიტებული წარმომადგენელი, დაჟინებით მოითხოვდა ჩარევას გამოკითხვის დროს, რასაც აწარმოებდნენ მეზღვაურთა გამგზავრებამდე აეროპორტ „აიდლუაილდში“ იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის ხელისუფალნი. მიჩნეულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფი, საბჭოთა დელეგაციის წევრებმა ამრიგად განახორციელეს უმართებულო ხასიათის აქტები, რომლებიც აღემატება მათს ოფიციალურ რუშუნებათა მოცულობას, და ამით პოროტად გამოიყენეს მათი რეზიდენციის პრივილეგიები, დაარღვიეს შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის შტაბ-ბინის შესახებ შეთანხმების პირობები.

თხოვნაა, რომ საბჭოთა მთავრობამ მისცეს მითითება ელჩ არკადი სობოლევსა და მის პერსონალს მომავალში დაიცვან თავიანთი აღიარებული ფუნქციები. ალექსანდრე კ. გურიანოვისა და ნიკოლოზ ტურკინის მოქმედების განსაკუთრებული ხასიათის გამო საბჭოთა მთავრობას ამით ეუწყება, რომ მათი ყოფნა შეერთებულ შტატებში სასურველი აღარ არის. შესაბამისად გამოთქმულია თხოვნა, რომ ალექსანდრე კ. გურიანოვმა მიიღოს სასწრაფო ღონისძიებანი, რათა დატოვოს შეერთებული შტატები. ამავე საფუძველზე ამით უარი ეთქვა ნიკოლოზ ტურკინს თხოვნაზე, რომ მიეცეს შეერთებულ შტატებში დაბრუნების ვიზა“.

30 აპრილს სსრ კავშირის საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა შემდეგი საპასუხო ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო თავის პატივისცემას უდასტურებს სახელმწიფო დეპარტამენტს და მის 25 აპრილის ნოტასთან დაკავშირებით პატივი აქვს აცნობოს შემდეგი.

საბჭოთა მთავრობა უარყოფს როგორც დაუსაბუთებელს მტკიცებას, რომელსაც აღნიშნული ნოტა შეიცავს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან საბჭოთა კავშირში ტანკერ „ტუაფსეს“ ხუთი საბჭოთა მეზღვაურის დაბრუნებასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფი საბჭოთა წარმომადგენლობის თანამშრომლებმა დაუშვეს მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება წარმომადგენლობის სტატუსს.

სახელმწიფო დეპარტამენტისათვის უეჭველად ცნობილია გარემოებანი, რომლებიც დაკავშირებულია ტანკერ „ტუაფსეს“ ცხრა საბჭოთა მეზღვაურის ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანონო დაკავებასთან. ცნობილია, კერძოდ, რომ ჯერ კიდევ 1955 წლის დეკემბერში, როცა ეს ცხრა მეზღვაური კუნძულ ტაივანიდან შეერთებულ შტატებში წაიყვანეს, საელჩომ წარდგინება გაუკეთა სახელმწიფო დეპარტამენტს და მოითხოვა მიღებული ყოფილიყო ღონისძიებანი მათი განთავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნებისათვის. საელჩომ მოითხოვა აგრეთვე მიეცათ შესაძლებლობა მისი წარმომადგენლებისათვის შეხვედროდნენ ტანკერ „ტუაფსეს“ ხსენებულ საბჭოთა მეზღვაურებს.

ამ საკითხზე საელჩოს არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, სახელმწიფო დეპარტამენტმა არ დაიკმაყოფილა საელჩოს ეს კანონიერი მოთხოვნები. უფრო მეტიც, სახელმწიფო დეპარტამენტმა შესაძლებლად მიიჩნია 2 მარტს საელჩოსთვის განეცხადებინა, თითქოს საბჭოთა მეზღვაურები უარს ამბობენ საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. ამასთან სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიმოწმა მეზღვაურთა განცხადებანი, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, ხელმოწერილი იყო მუქარით და იძულებით.

აპრილის დამდეგს საბჭოთა მეზღვაურებმა — ვაგანოვმა, ლუკაშკოვმა, რიაბენკომ, შირინმა და შიშინმა — მიმართეს სსრ კავშირის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინს თხოვნით ხელი შეეწყო მათთვის, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ამასთან დაკავშირებით ვაშინგტონში სსრ კავშირის საელჩოს საკონსულო განყოფილების გამგე გამგზავრა ნიუ-იორკში, რათა გაეფორმებინა ამერიკის შეერთებული შტატებიდან საბჭოთა მეზღვაურების გასამგზავრებლად საჭირო დოკუმენტები, აგრეთვე ხელი შეეწყო მათთვის — დაბრუნებულიყვნენ საბჭოთა კავშირში. 6 აპრილს ვაგანოვი, ლუკაშკოვი, რიაბენკო, შირინი და შიშინი მივიდნენ გადასახადთა დეპარტამენტში ნიუ-იორკში და გააფორმეს დოკუმენტები გადასახადთა გადახდის შესახებ, რაც საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამგზავრებისათვის.

7 აპრილს ნიუ-იორკის აეროდრომ „აიდლუაილდზე“, თვითმფრინავში აღნიშნული საბჭოთა მოქალაქეების ჩასხდომის წინ, ამერიკის საიმიგრაციო ხელისუფლებამ მოახდინეს ამ საბჭოთა მოქალაქეების სპეციალური გამოკითხვა და ამით მიიღეს სრული შესაძლებლობა დარწმუნებულიყვნენ, რომ საბჭოთა მეზღვაურები ამერიკის შეერთებულ შტატებს ტოვებენ მათ მიერ თავისუფლად გამოთქმული სურვილის შესაბამისად. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მოქალაქეების თავისთავად გაუმართლებელ გამოკითხვას საიმიგრაციო სამსახურის მოხელეები შეეუწყნარებელი უხეში ფორმით აწარმოებდნენ.

რამდენადაც, როგორც ეს ცხადია ზემოაღნიშნულიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან აღნიშნული საბჭოთა მოქალაქეების გამგზავრებისას სავსებით დაცული იყო ყველა საჭირო ფორმალობა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო კანონები ითვალისწინებენ, არავითარი საფუძველი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფი სსრ კავშირის წარმომადგენლობის მხრივ რაღაც ჩარევაზე ლაპარაკისათვის, როგორც ეს სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტაშია.

ის ფაქტი, რომ სამშობლოში მიმავალი საბჭოთა მოქალაქეების გაცილებას დაესწრნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფი სსრ კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლები, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ისეთი მოქმედება, რომელიც არ შეესაბამებოდეს წარმომადგენლობის სტატუსს. თავისთავად იგულისხმება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფი სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის ა. ა. სობოლევის ყოფნა აეროდრომზე სხვა საბჭოთა მოქალაქეებთან ერთად, რომლებიც მივიდნენ თავიანთი თანამემამულეების სამშობლოში გასაცილებლად, სავსებით ბუნებრივია.

საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა განაცხადოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფი საბჭოთა წარმომადგენლობა მუდამ ზუსტად იცავდა და იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის შესახებ იმ შეთანხმების დებულებებს, რომელიც დადებულია შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის.

ამ პირობებში დაუსაბუთებელი პრეტენზიები, რომლებსაც სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფი საბჭოთა წარმომადგენლობის თანამშრომლებს უყენებს, შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმის ცდად, რომ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ ამერიკელ ხელისუფალთა შეეუწყნარებელ მოქმედებას, რომლებიც უკანონოდ აკავებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტანკერ „ტუაფსეს“ საბჭოთა მეზღვაურებს.

მოაგონებს რა თავის წინანდელ მიმართვებს სახელმწიფო დეპარტამენტისადმი საბჭოთა მეზღვაურების რეპატრიაციის საკითხზე, საელჩო დაბეჯითებით მოითხოვს აღმოფხვრან მიზეზები, რომლებიც ბრკოლებენ იმას, რომ თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ ტანკერ „ტუაფსეს“ საბჭოთა მეზღვაურები — ერემენკო, ივანკოვ-ნიკოლაევი, სოლოვიოვი და ტატარნიკოვი, რომლებსაც ჯერ კიდევ აკავებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, და მისცენ მათ შესაძლებლობა თავისუფლად გადაჭრან სამშობლოში დაბრუნების საკითხი“.

1956 წლის 1 მაისის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სპეციალური კინოგამოშვება

2 მაისს საღამოს მოსკოვის ტელევიზიით გადაეცემულ იქნა სპეციალური კინოგამოშვება „1956 წლის 1 მაისის დღესასწაული“. იგი გადაიღეს დოკუმენტალური ფილმების ცენტრალური სტუდიის ოპერატორებმა.

ფილმი იწყება საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გადაღებული კადრებით მოსკოვში და კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, კიევში და ბაქოს საზღვაო ნავთობსარეწებში, ოდესის ნავსადგურში — ყველგან საბჭოთა ადამიანები ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ზეიმათ აღენიშნათ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული, აბალ შრომითი წარმატებებით ხვდებოდნენ მას.

კინოგამოშვებაში ნაჩვენებია სამხედრო პარადი მოსკოვის წითელ მოედანზე და საბჭოთა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

ფერადი სპეციალური კინოგამოშვება „1956 წლის 1 მაისის დღესასწაული“, რომლის გადაღებაში მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა კინოოპერატორმა, გამოვა მოსკოვის კინოთეატრების ეკრანებზე. (საკდესი).

ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის

მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელმა დიდი აღფრთოვანებით იდღესასწაულა პირველი მაისი. მშრომელთა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე წელს ყველგან აღინიშნა მშვიდობისა და პროგრესის ძალების განუხრელი ზრდის ნიშნით, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების ვითარებაში.

ლამაზი იყო საპირველმაისო დემონსტრაცია პეკინში. სადღესასწაულოდ მოირთო სახალხო ჩინეთის დედაქალაქის მთავარი მოედანი — ტიანანმენი. დილის ათ საათზე ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები მაო ძე-დუნი, ჯუ დე, ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

სადღესასწაულო მსვლელობა დაიწყო მედრომეთი კოლონამ. მათ მიჰყვებიან პიონერები. ცენტრალურ ტრიბუნასთან რომ მივიდნენ, მათ გაუშვეს ათასობით მტრედი და ნაირფერადი ბუნთი. მაყურებლები მხურვალედ უკრავენ ტაშს ჩინეთში სოციალიზმის ყველზე ანალგაზრდა მშენებლებს. შემდეგ მოკაზნე შემოდის ჩინეთის საუკეთესო მუშაბის — წარმოების მოწინავეთა სრულიად ჩინეთის კონფერენციის მონაწილეთა კოლონა. მათ მოჰყვება ბეიკინის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა 110-ათასიანი კოლონა. მრავალი ტრანსპარანტი, რომლებიც დემონსტრანტებს მოაქვთ, მშვიდობრობის, თუ რა წარმატებენი მოიპოვა ჩინეთის მუშათა კლასმა თავისი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

ნუშებს მოჰყვება პეკინის გარეუბნების გლეხთა კოლონა, მათ კი — მოსამსახურეები. ამ დროს ძალი ცაში დანავარდობენ მფლეფრეები, რომლებსაც ცელიან ჩინეთში ნაკეთები თვითმფრინავები.

პეკინის საპირველმაისო დემონსტრაციაზე, რომელშიც 500 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, ცხადყო, თუ რა მონოლითურად არის დარაზმული ჩინელი ხალხი, რომელიც მშვიდობას იცავს და წარმატებით აშენებს ახალ სოციალისტურ ჩინეთს.

ჩინეთის უდიდეს ქალაქ შანხაიში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 600 ათასმა კაცმა, შუკიდენში — 400 ათასმა, უხანში — 210 ათასმა კაცმა.

ვარშავისა და პოლონეთის სხვა ქალაქების ასეულ ათასობით მოორთულ-მოკაზმული მცხოვრები გამოვიდა 1 მაისს მოედნებზე და ქუჩებში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ოხაბმა მიულოცა პოლონელ ხალხს დღესასწაული. პოლონელი მუშები და გლეხები, თქვა მან, ამაყობენ თავიანთი თავდადებული ბრძოლით, ამაყობენ თავიანთი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ურთიერთდახმარებასა და მზარდ თანამშრომლობას, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო სწრაფად განავითარონ პოლონეთის ეკონომიკა და კულტურა

პირველი მაისის დღესასწაულის დღეს ჩვენი ფიქრები მიპყრობილია ჩვენი ძმების — საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისადმი, რომლებთანაც ერთად ჩვენ ვიბრძვით ხალხის ბედნიერებისათვის და კაცობრიობის სოციალისტური მომავლისათვის.

პოლონეთის დედაქალაქის საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 200 ათასზე მეტმა კაცმა.

დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ლიმში, სტალინოგრუდში, კრაკოვში, პოზნანსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში საპირველმაისო დემონსტრაციამ გაიარა ვაცლავის მოედანი. მოედნის თავზე წითელ ქსოვილებში ელვარებდა პლაკატის სიტყვები: „ლენინიზმის დროშით, ახალი გამარჯვებებისაკენ მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში“.

დემონსტრაციის მონაწილეთ მისასალმებელი სტუკვით მიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ნოვოტნიმ.

„ჩვენ ახლანდელ პირველმაისობას, თქვა მან, აღვნიშნავთ მეორე ხუთწლედის პირველ წელიწადში, ხუთწლედისა, რომლის შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და აამაღლებს მშრომელთა ცხოვრების დონეს. მეორე ხუთწლედში სამრეწველო წარმოება გადადდება 50 პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოება — 30 პროცენტით.

დემონსტრაციის შემდეგ პრაღისა და ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქების ქუჩებში მასობრივი სეირნობა გაიმართა.

1 მაისის გამო მშრომელთა დიდი მიტინგი გაიმართა ბულგარეთის დედაქალაქში. მიტინგის შემდეგ მოეწყო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200 ათასზე მეტმა კაცმა.

პირველმაისობა სიხარულით აღნიშნა უნგრელმა ხალხმა. ბუდაპეშტის მშრომელთა დემონსტრაცია ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით ასეულ ათასობით კაცმა. ხალხმრავალი დემონსტრაციები გაიმართა უნგრეთის სხვა ქალაქებშიც.

არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო საპირველმაისო დემონსტრაცია ბუქარესტში არ გამართულა. მაგრამ რუმინეთის სხვა ქალაქებში სადღესასწაულო მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო ასეულ ათასობით ადამიანმა.

მასობრივი საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. დემონსტრაციებმა ჩაიარა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, გერმანელ მშრომელთა მოქმედებაც ერთიანობისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — გერმანიის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

საპირველმაისო ზეიმი გაიმართა აგრეთვე ალბანეთში და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. სადღესასწაულო დემონსტრაციაში ფშენიანში 300 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

1 მაისს ზეიმით შეხვდნენ იუგოსლავიის მშრომელები. ბელგრადში გაიმართა სამხედრო პარადი. წვიმის გამო მშრომელთა დემონსტრაცია არ გამართულა.

1 მაისის ღამე ფართოდ აღნიშნეს ინდოეთის მშრომელებმა. ასეულ ათასობით მუშამ და მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა საპირველმაისო მიტინგებსა და დემონსტრაციებში, რომლებიც გაიმართა დელში, ბომბეიში, კანპურში, პუნაში და ინდოეთის სხვა ქალაქში. მიტინგების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებითაც მოითხოვეს განმტკიცდეს მუშათა კლასის ერთიანობა და პირობას დებენ განაგრძონ ბრძოლა მშვიდობისათვის, აგრეთვე გმობენ სამხედრო პაქტებსა და კოლონიალიზმს.

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში 1 მაისს გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 150 ათასი კაცი. მიტინგმა ჩაიარა ინდონეზიის დამოუკიდებელი დემოკრატიული გზით განვითარებისათვის, კოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობის სრული ლიკვიდაციისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა გაფართოებისა და მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ინდონეზიის მთელი ეროვნული ძალების დარაზმვის ნიშნით.

30 აპრილს ნიუ-იორკში უნიონ-სკვერის მოედანზე გაიმართა მრავალთასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მშრომელთა საერთაშორისო დღეს — 1 მაისს. მშრომელებმა მიტინგზე მოიტანეს მრავალი ტრანსპარანტი: „აიკრძალოს ატომური და წყალბადის ბომბები!“, „შეერთებული შტატებისა და ჩინეთის მეგობრობისათვის!“, „აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის!“, „თავისუფლება სმიტის კანონის ესხვენილან!“ (ანტიკომუნისტური კანონი. — **რედ.**) და სხვ.

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — 1 მაისისადმი მიძღვნილი მრავალი მიტინგი და კრება გაიმართა საფრანგეთში. პარიზში ტრადიციული საპრეზიდენციო დემონსტრაცია წელს აიკრძალა. ამიტომ სენის დეპარტამენტის პროფკავშირულმა გაერთიანებამ, რომელიც შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შედის, ეფსენის ტყეში ეელდრომზე მოაწყო მასობრივი მიტინგი. აღდრის მიუხედავად, აქ საფრანგეთის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები შეიკრიბა. ბევრნი ჩავიდნენ პარიზის მეგობარ ქალაქებიდან. მიტინგზე, რომელშაც ჩაიარა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გუმჯობესებისათვის, აღეკრძალა საომარი მოქმედების შეწყვეტისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ნიშნით, გამოვიდნენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ბენუა ფრაშონი და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლეი სანინი.

პირველი მაისი ფართოდ აღნიშნეს დასავლეთ გერმანიის მშრომელებმა. ბევრ ქალაქში გაიმართა სადღესასწაულო დემონსტრაციები, რომლებმაც ჩაიარა მშრომელთა ცხოვრების პირობების გუმჯობესებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით. მიუხედავად დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის 60 ათასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ, დიუსელდორფის ქუჩებში გამოვიდა 30 ათასზე მეტი კაცი.

იაპონიის ყველა ქალაქში პირველი მაისის დღესასწაული მშრომელთა დემონსტრაციებითა და მიტინგებით აღინიშნა. სადღესასწაულო მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო 2 მილიონზე მეტმა მუშამ. ტოკიოს რადიო აღნიშნავს, რომ ეს იყო ყველაზე დიდი საპირველმაისო დღესასწაული იაპონიის მუშათა მოძრაობის მთელ ისტორიაში.

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — 1 მაისი ფართოდ აღინიშნა იტალიაში, ფინეთში, შვეიცარიაში, დანიაში, ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებმა 1 მაისს დღეს კიდევ უფრო მაღლა აწიეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოლიდარობის დროშა, მოითხოვეს ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა, სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. (საკდესი).

ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ III ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 30 აპრილი. (საკდესი). დღეს დამთავრდა კორეის შრომის პარტიის III ყრილობა.

ყრილობამ აირჩია კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტი ცენტრალური კომიტეტის 71 წევრისა და 45 წევრობის კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე ცენტრალური სარევიზო კომისია.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ გაიმართა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც აირჩია ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: პრეზიდიუმის წევრები — კიმ ირ სენი, კიმ დუ ბონი, ცოი ენ გენი, პაკ დენ აი, კიმ ირი, პაკ კიმ ჩერი, ლიმ ხე, ცოი ჩან იკი, ტენ ირ ლენი, კიმ კვან ხები, ნამ ირი; პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები — კიმ ჩან მანი, ლი ჯონ ოკი, ლი ხე სუნი, პაკ ი ვანი.

პლენუმმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია კიმ ირ სენი, თავმჯდომარის მოადგილეებად ცოი ენ გენი, პაკ დენ აი, პაკ კიმ ჩერი, ტენ ირ ლენი, კიმ ჩან მანი.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტი არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: კიმ ირ სენი, ცოი ენ გენი, პაკ დენ აი, პაკ კიმ ჩერი, ტენ ირ ლენი, კიმ ჩან მანი, ხან სან დუ.

საკონტროლო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. კიმ იკ სენი.

გამოქვეყნდა აგრეთვე ცნობა, რომ გაიმართა პლენუმი ცენტრალური სარევიზიო კომისიისა, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია ლი ჯუ ენი, თავმჯდომარის მოადგილეებად იუ ენ ხა და კიმ გერ იმი.

საბოლოო სიტყვაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა თქვა, რომ კორეის შრომის პარტიის III ყრილობამ, რომელიც უდიდესი ისტორიული მოვლენაა პარტიისა და კორეელი ხალხის ცხოვრებაში, თავისი მუშაობა შეასრულა მაღალ პოლიტიკურ დონეზე. კორეის შრომის პარტიის ყრილობისა და ყველა მისი წევრის სახელით მან გულწრფელი ამხანაგური მადლობა გადაუხადა სტუმრებს — მოძმე პარტიების წარმომადგენლებს მეგობრული მისალმებისა და დახმარებისათვის კორეის შრომის პარტიის მუშაობაში.

სპორტის ამბები

ᲕᲐᲢᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲘᲠᲕᲐ

ᲕᲐᲢᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲘᲠᲕᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ. 35 ᲓᲦᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ Ვ. ᲒᲝᲪᲣᲒᲘᲜᲙᲝᲗᲐᲜ ᲨᲔᲯᲔᲓᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲠᲝᲡᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ. ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲛᲝᲘᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲡᲬᲠᲝ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲠᲔᲑᲘᲗ 150 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲐᲪᲘ. ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲬᲠᲘᲤᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲠᲐᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲠᲐᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ. ᲨᲔᲣᲖᲦᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲘᲗ. ᲛᲘᲢᲩᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲛᲝᲘᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ 4 : 3.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. 1 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲛᲐᲢᲩᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲠᲘᲐ „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ ᲛᲝᲛᲠᲗᲔᲑᲘᲗ 3 : 1.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 2 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲓᲦᲔᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲛᲬᲘᲓᲔᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝᲡᲗᲐᲜ“. ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲗ ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ 2 : 0.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. 2 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲖᲔᲜᲘᲢᲘ“ ᲨᲔᲯᲔᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“. ᲛᲐᲢᲩᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲤᲣᲠᲔ 0 : 0.

„Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘ

1 მაისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის მეორე